ს ს ი პ

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

SSVA 00000419

13/01/2020

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში არსებული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე და 61-ე მუხლების, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის №342 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ და ,,ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დაწესებული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, საბანკო დაწესებულების მეშვეობით.
2. სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური საჯარო ინფორმაციის ასლს გასცემს დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდგომ.
3. 2020 წლის განმავლობაში, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე გაიცემა ის გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, რომლის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა არ აღემატება 2,50 ლარს.
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში არსებული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის შესახებ" სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2019 წლის 9 იანვრის №SSVA 00000239 ბრძანება.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი ვლადიმერ იმნაძე